# გამარჯვებათა გზა — ქუთაისის „ტორპედოს“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი
ჩემპიონატი -68

სსრ კავშირის პირველობა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 63 (3547) 31 1968 წ. მარტი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

## გვესაუბრება ა. ნორაკიძე

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი გუშინ ტელეფონით დაუკავშირდა ქუთაისს, ადგილობრივ ტორპედოელთა საწვრთნელ ბაზას და ესაუბრა გუნდის უფროს მწვრთნელს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ა. ნორაკიძეს.

● ხვალ მატჩი გაქვთ ჩემპიონთან. როგორ გრძნობენ თავს თქვენი ფეხბურთელები?

— კარგად. ჩვენ ყოველ წელიწადს გვიხდება თამაში ჩემპიონებთან, ამიტომ შეჩვეული ვართ ამგვარ სიძნელეებს. შეიძლება, ამჯერად გამონაკლისს წარმოადგენს ის, რომ ჩემპიონს პირველივე მატჩში ვხვდებით. მაგრამ გაიხსენეთ, რომ კიევის „დინამოს“ წლეულს უკვე ვეთამაშეთ „ენძელას“ თასზე და ფრედ დავამთავრეთ მატჩი — 0:0.

● სიტყვამ მოიტანა და კმაყოფილი ხართ თუ არა „ენძელას“ ტურნირით?

— ძალიან. ეს ტურნირი აწესრიგებს იმას, რასაც უწინ ჩვენ, მწვრთნელები, სანთლით ვეძებდით — სპარინგ-პარტნიორებთან შეხვედრებს. ამას გარდა, მას ორგანიზებული შეჯიბრების ხასიათი აქვს და, თანაც, ფეხბურთელებს გარკვეულ სპორტულ სტიმულს აძლევს. შარშან ქუთაისის „ტორპედო“ ამ ტურნირის ფინალში გავიდა, ამჯერად ასეთი შედეგი არ გვქონია, მაგრამ ახლა ჩვენ ძალიან ძლიერ მეტოქეებთან მოვხვდით ერთ ჯგუფში (მოსკოვის „ლოკომოტივი“ და „ტორპედო“, თბილისის, კიევისა და მინსკის დინამოელები) და მძიმე მატჩები გვქონდა. და აქაც მხოლოდ 1 ქულით ჩამოვრჩით გამარჯვებულს — მოსკოვის „ლოკომოტივს“. „ენძელას“ ტურნირში ჩვენ გარკვეული მიზანი გვქონდა დასახული: ძირითადი შემადგენლობის დადგენა მომავალი ჩემპიონატისთვის და ახალგაზრდა ფეხბურთელთა შერჩევა, რომლებიც თანდათან უნდა შევიყვანოთ თამაშში.

● როგორ შეასრულეთ ამოცანა?

— ახალგაზრდობა კარგი გვყავს — ქოლაძე, ნაჭყებია, ჩიხლაძე, გადელია და სხვანი. შევსება საიმედოა.

● ვეტერანები?

— ვერც მათ დავემდურებით. ყველა გულმოდგინედ ემზადებოდა და თავისი ადგილი აქვს გუნდში.

● მეკარეებზე რას გვეტყვით?

— ძირითადი მეკარე რ. კვასხვაძე ადრე ავადმყოფობდა, ახლა იგი კარგ ფორმაშია და ჩადგება კარში.

● რას იტყვით მომავალ ჩემპიონატზე?

— ყოველი საკავშირო ჩემპიონატი ძნელია, მათ შორის, წლევანდელიც.

ინტერვიუ ტელეფონით

მოსამზადებელ პერიოდს ვერ დავემდურებით, იმედი მაქვს ვითამაშებთ უკეთ, ვიდრე შარშან. მაგრამ ახლა მთავარია მოვძებნოთ ჩვენი ამპლუა, მივაგნოთ იმ თამაშს, რომელიც ჩვენთვის ყველაზე უფრო რაციონალური და სასარგებლოა. ფეხბურთელები მზად არიან საბრძოლველად და სწამთ თავიანთი შესაძლებლობები. ვფიქრობ, არ შევრცხვებით.

● გადაეცით ფეხბურთის მოყვარულთა კეთილი სურვილები და გამარჯვების რწმენა ქუთაისის „ტორპედოს“ ყველა წევრს.

— გმადლობთ. გადაეცით ჩვენი საუკეთესო სურვილები ჩვენს ქომაგებსაც და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებსაც.

### სტადიონის პერსპექტივები

ქუთაისის ცენტრალური სტადიონი (დირექტორი ჯ. ბერულავა) დროულად შეუდგა ზაფხულის ახალი სეზონისთვის მზადებას. წესრიგზე მოიყვანეს ტრიბუნები, შეაკეთეს სპორტსმენთა გასახდელი ოთახები, ტერიტორია შემოსეს მწვანე ნარგავებით, ყვავილებით, გაზონებით. შეკეთდა ფეხბურთის სათამაშო მინდორი.

არის სიახლეებიც. დირექციას ხელთ აქვს კომპლექსური სპორტული დარბაზის პროექტი. აქ იქნება კალათბურთის, ხელბურთის, ფრენბურთის, ტანვარჯიშის დარბაზები, შეიძლებათ წვრთნა, აგრეთვე, ძალოსნებს, მოჭიდავეებს, მოკრივეებს.

სტადიონზე შეუდგნენ ახალი საცურაო აუზის მშენებლობას ბავშვებისთვის.

შ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.



ქუთაისის ტორპედოელებმა შარშანაც და წლეულსაც კარგად ჩაატარეს წინასასეზონო შეჯიბრება „ენძელას“ თასზე.

სურათზე: ტორპედოელთა მატჩის მომენტი ბაქოს „ნეფტჩისთან“ (შარშანდელი გათამაშება), რომლის მოგების შემდეგ ქუთაისელები ფინალში გავიდნენ. ქუთაისელთა მეკარე რ. კვასხვაძე და მარჯვენა მცველი ი. ლოსაბერიძე (№ 2) იგერიებენ „ნეფტჩის“ თავდამსხმელების ე. მარქაროვისა (№ 10) და ა. ბანიშევსკის (მარჯვნივ) იერიშს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

**1:0** მარსელი, 30 მარტი. სამშობლოში დაბრუნების წინ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა აქ მინიმალური ანგარიშით დაამარცხა ადგილობრივი კლუბი „მარსელი“. ერთადერთი გოლი მსაჯის საფინალო სასტვენამდე 3 წუთით ადრე გაიტანა მინსკელმა მალოფეევმა.

ერთი თვის განმავლობაში საბჭოთა ნაკრებმა მექსიკასა და საფრანგეთში 8 ამხანაგური მატჩი გამართა. 3 გამარჯვება, 5 ფრე — ასეთია ტურნეს ბალანსი. მეტოქეთა კარში გატანილია 8 გოლი (ჩისლენკო და მალოფეევი — 2-2, ანიჩკინი, საბო, ბიშოვეცი და სმოლნიკოვი), ხოლო საკუთარში გაშვებულია 2 ბურთი.

### „ენგურის“ წარმატება

ზუგდიდი, 29 მარტი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). საინტერესო მატჩი შედგა აქ ადგილობრივ „ენგურსა“ და სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებს შორის.

თამაში მიმდინარეობდა უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში. ზუგდიდელებმა დაამარცხეს მეტოქე — 2:0.

გ. ალშიბაია.

საათი

◆ მენტონა (საფრანგეთის რივიერა), 30 მარტი. ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში წარმატებით ასპარეზობს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ა. მეტრეველი, რომელმაც ნახევარფინალში დაამარცხა პოლონეთის ჩემპიონი ვ. გონშორეკი — 6:4, 6:2. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში თბილისელი სპორტსმენი შეხვდება ჩეხოსლოვაკიის პირველ ჩოგანს მ. ჰოლეჩეკს.

◆ სან-პაულუ, 30 მარტი. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა — სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა მეოთხე გამარჯვება იზეიმა ბრაზილიაში. ამჯერად მან ანგარიშით 88:76 (39:35) დაამარცხა ამ ქალაქის ნაკრები.

◆ ბერლინი, 30 მარტი. ჰოკეიში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველ ნახევარფინალურ მატჩში იიგლავის „დუკლამ“ (ჩეხოსლოვაკია) აქ ანგარიშით 5:1 გაიმარჯვა გდრ-ის დედაქალაქის დინამოელებთან. განმეორებითი თამაშის მოგების შემთხვევაში „დუკლა“ ფინალში შეხვდება თანამემამულეს — თასის ამჟამინდელ მფლობელს „ზკლ-ბრნოს“.

### ემერსონი — პროფესიონალი

სამოყვარულო ჩოგბურთის ერთ-ერთმა ვარსკვლავმა, ავსტრალიელმა როი ემერსონმა, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშედ ითვლებოდა, ხელი მოაწერა კონტრაქტს პროფესიონალებში გადასვლის თაობაზე. უიმბლდონის ტურნირში ემერსონი მონაწილეობას მიიღებს, როგორც პროფესიონალი.

აპრილის ბოლო რიცხვებში ემერსონი-პროფესიონალი პირველად გამოვა ლონდონში, სადაც ეწყობა თანამედროვეობის ოთხი გამოჩენილი ჩოგბურთელის საჩვენებელი ტურნირი. ემერსონის გარდა მასში მონაწილეობას მიიღებენ გონზალესი, როზუელი და ლეივერი. გამარჯვებული 2500 გირვანქა სტერლინგს მიიღებს ჯილდოდ.

### ბალაში ტოვებს სარბიელს

„მსოფლიო რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში იოლანდა ბალაში ტოვებს სპორტულ სარბიელს“, — იუწყება ბუქარესტის გაზეთი „სკინტეია ტინერეტულიო“. ბალაშმა განაცხადა, რომ შემოდგომიდან სპორტულ სკოლაში დაიწყებს მწვრთნელად მუშაობას, ვინაიდან ერთ-ერთ ვარჯიშზე ფეხი იტკინა და ხანგრძლივმა მკურნალობამ ნაყოფი არ გამოიღო.

**4:3** სოხუმი, 30 მარტი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). დღეს აქ საკონტროლო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და თბილისის დინამოელები.

საინტერესო ბრძოლა დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 4:3. ისინი ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: ურუშაძე, ცხოვრებოვი, ჰელიძე, კანთელაძე, ძოძუაშვილი, კუტივაძე, პეტრიაშვილი, ქიქავა, მეტრეველი, ილიადი, ლ. ნოდია.

● ჩერნოვცი, 28 მარტი. უკრაინის ჭაბუკ ძალოსანთა შეჯიბრებაში ბრწყინვალე შედეგს მიაღწია უკონკურსოდ მოასპარეზე ოდესელმა ნ. იაშჩენოკმა (მძიმე წონა), რომელმაც სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა სამჭიდში — 505 კგ (172,5+147,5+185). იუნიორებში თავი ისახელა დონეცკელმა ვ. კოჩიევმა (ქვემძიმე წონა). ერთ საღამოს მან გააუმჯობესა არა უმეტეს 20 წლის ძალოსანთა ოთხი საკავშირო რეკორდი — მეოთხე ცდისას აწია 150 კგ, აიტაცა 135 კგ, აკრა 172,5 კგ — სამჭიდის ჯამში დააგროვა 447,5 კგ.

● ბუქარესტი, 28 მარტი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში ყველას აჯობა იუგოსლაველმა დიდოსტატმა ბ. პარმამ — 8,5 ქულა 12-დან. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩნენ დიდოსტატები ა. გიპსლისი (სსრ კავშირი) და ი. ბილეკი (უნგრეთი).

● სარაევო, 28 მარტი. საბჭოთა დიდოსტატი ა. ლეინი 5 ქულით ლიდერობს აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში. 4,5-4,5 ქულა დააგროვეს დიდოსტატებმა დ. ჩირიჩმა (იუგოსლავია) და ლ. კავალეკმა (ჩეხოსლოვაკია), 4 — საბჭოთა დიდოსტატმა ნ. კროგიუსმა.

ახალი ამბები

# „დედოფალმა“ თვალი გაახილა?

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში საქართველოს მოსწავლე-მძლეოსანთა ნაკრების ხელმძღვანელობამ ბევრი გააკეთა სპორტსმენთა ტექნიკური შედეგების ზრდისთვის და მიზანსაც თითქოს მიაღწია. შარშან გაუმჯობესდა მოსწავლეთა იმდენი რესპუბლიკური რეკორდი, რამდენიც ბოლო სამ წელიწადში ერთად. საქართველოს მოსწავლეებმა ლენინგრადის ტურნირშიც უფრო მეტი საპრიზო ადგილი მოიპოვეს, ვიდრე წინა სპარტაკიადაში, მაგრამ როცა მძლეოსანთა გუნდური შედეგები შეჯამდა, ჩვენი წარგზავნილები მათთვის უჩვეულო (XII) ადგილზე აღმოჩნდნენ.

რამ გამოიწვია ამგვარი მარცხი? როგორც გამოირკვა, მოსწავლეთა სპარტაკიადაში წარმატებისთვის მარტო რეკორდები და პირველი ნომრების რამდენიმე საპრიზო ადგილი არ კმაროდა. საამისოდ გუნდის ყველა წევრის კარგი მომზადებაც იყო საჭირო, ჩვენი მძლეოსნები კი მთელ რიგ სახეობებში ოცეულშიც ვერ მოხვდნენ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ სპარტაკიადის შედეგებიდან სათანადო დასკვნა გააკეთა და მუშაობის გაუმჯობესების გზები დასახა. ამ ღონისძიებაზე რესპუბლიკის ფიზკულტურელთა აქტივს ამას წინათ გამართულ კრებაზე ილაპარაკა განათლების სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგემ ი. ბაცელაშვილმა, პრაქტიკულად კი მისი შედეგები თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ჩატარებულმა მოსწავლეთა საგაზაფხულო რესპუბლიკურმა ტურნირმა დაადასტურა.

I ჯგუფში ასპარეზობდნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისისა და სამხრეთ ოსეთის, II ჯგუფში — ფოთის, გორის, რუსთავის, მახარაძის, ქარელის, სამტრედიის, ხაშურისა და ახალციხის, III ჯგუფში — ზესტაფონის, ბორჯომის, თელავის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ლენტეხის, საგარეჯოს, ონის, ახმეტის, ცხაკაიისა და ჩოხატაურის კოლექტივები. სტარტზე 450-მდე სპორტსმენი გამოვიდა. მათ ძალის შემოწმების გზა რომ გაეხსნათ და გამოცდილების შეძენის შესაძლებლობა მიეცათ, კარგია, მაგრამ ტურნირს ბევრი ხარვეზი აღმოაჩნდა. პროგრამაში 4 მრავალჭიდი იყო, სარბიელზე კი საშუალო და უმცროსი ასაკის ჯგუფები გამოვიდნენ. ასეთი შეჯიბრების სამ დღეში ჩატარება თითქმის შეუძლებელია. პროგრამის სიმჭიდროვემ ბავშვები გადაქანცა და, ცხადია, მათ ეს ტურნირი სასიამოვნო მოგონებად როდი გაჰყვებათ. მსაჯები ინვენტარის სიმცირესაც უჩიოდნენ.

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში მძლეოსნობა გამოცოცხლების გზაზეა. მაგალითად, აჭარის მოსწავლეთა გუნდი, რომელსაც ადრე სამართლიანად საყვედურობდნენ ამგვარ ტურნირებში წარუმატებლობას, ახლა ერთ-ერთი საუკეთესო იყო და ბოლო დღემდე გამარჯვების პრეტენდენტიც გახლდათ. საერთო გუნდურ ჩათვლაში აჭარის წარმომადგენლებმა 33.077 ქულა მოაგროვეს და მხოლოდ 1669 ქულით წააგეს თბილისის გუნდთან, რომელმაც პირველობა მოიგო. I ჯგუფში III იყო ქუთაისის მოსწავლეთა ნაკრები. მოულოდნელი გახლდათ მარცხი აფხაზეთის კოლექტივისა, რომელმაც ბოლო ადგილი დაიკავა. სპეციალისტების აზრით, ეს ამ ეტაპზე კანონზომიერი იყო. საქმე ისაა, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ა. კურსელიანმა მოსწავლე მძლეოსნებთან მუშაობას თავი დაანება, აფხაზეთში ამ სახეობას სათანადო ყურადღება აღარ ეთმობა. აფხაზეთის განათლების სამინისტრო ახალი მწვრთნელების მიმართ, როგორც ჩანს, სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენს.

II ჯგუფში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ფოთი, მახარაძე, სამტრედია; III ჯგუფში — ონი, ჩოხატაური, ბორჯომი.

პირადმა შეჯიბრებამ ბევრი ნიჭიერი მძლეოსანი გამოავლინა. მაგალითად, თბილისის 54-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელი მარინე წინამძღვრიშვილი მხოლოდ 13 წლისაა და უმცროსი ასაკის გოგონებში უკვე ჩემპიონის სახელი მოიპოვა სიგრძეზე ხტომაში — 457 სმ. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ენერგიული ვარჯიშით იგი მალე რესპუბლიკის საუკეთესო მძლეოსანთა რიგებში ჩადგება.

ქების ღირსნი არიან ლანჩხუთელი თ. გოგიბერიძე და ს. აბთიანი (აჭარა). რვაჭიდში ორივემ გადააჭარბა რესპუბლიკური რეკორდის საწყის ნორმატივს საშუალო ასაკისთვის (3600 ქულა). აბთიანმა 4077 ქულა მოაგროვა, რეკორდსმენის სახელი კი დაისაკუთრა გოგიბერიძემ, რომელსაც 7 ქულით მეტი ჰქონდა. ვფიქრობთ, ესენი კარგი მრავალჭიდელები დადგებიან. აბთიანი განსაკუთრებით ძლიერია ჭოკით ხტომასა და შუბის ტყორცნაში. საშუალო ასაკის ჯგუფში მან პირველობაც კი მოიგო ჭოკით ხტომაში — 320 სმ.

ამ ტურნირში კიდევ ერთი რესპუბლიკური რეკორდი დამყარდა: საშუალო ასაკის გოგონათა ჯგუფში მოსპარეზე ონელმა ბადროს მტყორცნელმა ე. ჩამგელიანმა (40,53 მ) რეკორდების ცხრილში მ. ნედელიას (აჭარა) ადგილი დაიკავა.

სამი დღის მანძილზე ორივე ასაკის ჯგუფში 40 გამარჯვებული გამოვლინდა და მათგან ყველამ შეასრულა სათანრიგო ნორმატივი. შეჯიბრების 23 მონაწილემ მოზრდილთა II თანრიგზე უკეთესი შედეგი აჩვენა. გამარჯვებულთაგან ბევრია საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნური სპორტსკოლის (დირექტორი — სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. იოსელიანი) აღსაზრდელი. ისინი თბილისის გუნდში გამოდიოდნენ.

**რ. მაღრაძე.**

• • •

გავეცნობთ გამარჯვებულებს: **უმცროსი ასაკი. გოგონები. 60 მ რბენა** — თ. დრიაევა — 8,4; **60 მ თარჯრბენი** — ა. ბატაევა — 9,2; **სიმაღლეზე ხტომა** — მ. ალიაკრინსკაია — 148; **ბირთვის კვრა** — ლ. ტაკნიაშვილი (ყველა — თბილისი) — 9,15; **ბადროს ტყორცნა** — ნ. ლაბაძე (ხაშური) — 30,10; **ოთხჭიდი** — მ. ალიაკრინსკაია — 350 ქულა. **ბიჭები. 60 მ რბენა** — ვ. სარქისიანი (თბილისი) — 7,8; **60 მ თარჯრბენი** — [illegible] (ჩოხატაური) — 8,6; **სიმაღლეზე ხტომა** — ა. ჭელიძე (ზესტაფონი) — 150; **სიგრძეზე ხტომა** — ვ. სარქისიანი — 538; **ბირთვის კვრა** — ა. სიჩევი (აფხაზეთი) — 10,49; **ბადროს ტყორცნა** — ნ. ბედოშვილი (თბილისი) — 37,95; **ოთხჭიდი** — ქ. მოშიაშვილი (ქუთაისი) — 319 ქულა.

**საშუალო ასაკი. გოგონები. 100 მ** — ნ. ტალადინოვა (გორი) — 12,7, **200 მ** — ვ. გოლობოროდკო (აჭარა) — 27,3; **400 მ** — ლ. ქარბაძე—1.04,8; **600 მ** — ლ. სოლოვიოვა — 1.48,5; **80 მ თარჯრბენი** — ი. ევრანოვა — 12,8; **სიგრძეზე ხტომა** — გ. სულხანიშვილი — 514; **სიმაღლეზე ხტომა** — ს. ხრინკო — 125; **ბირთვის კვრა** — ლ. დენისოვა (ყველა — თბილისი) — 10,05; **ბადროს ტყორცნა** — ნ. ნამიჩეიშვილი (სამტრედია) — 35,19; **შუბის ტყორცნა** — თ. ვანეევა (სამხრეთ ოსეთი) — 33,40; **ოთხჭიდი** — ვ. ფედოსენკოვა (აჭარა) — 2867 ქულა. **ბიჭები. 100 და 200 მ** — თ. ცოცხალოშვილი (გლდანის ინტერნატი) — 11,5 და 24,4; **400 მ** — ე. მუხანოვი (აჭარა) — 56,3; **800 მ** — ვ. სანიკიძე (თბილისი, პირადი)—2.12,6; **110 მ თარჯრბენი** — ა. კოვზირიძე (ქუთაისი) — 16,7; **5 კმ სპორტული სიარული** — ვ. სანიკიძე — 24.51,3; **სიგრძეზე ხტომა** — ვ. ომელჩენკო — 613; **სიმაღლეზე ხტომა** — ვ. უზმორსკი — 180, ა. შუბინი — 180; **სამხტომი** — ვ. ომელჩენკო (ყველა — თბილისი) — 12,50; **ბირთვის კვრა** — თ. კილაძე (მახარაძე) — 12,64; **ბადროს ტყორცნა** — თ. ჯებაშვილი (თბილისი) — 42,0; **შუბის ტყორცნა** — უ. ბარბაქაძე (გლდანის ინტერნატი) — 58 მ; ** უროს ტყორცნა** — ე. გაფრინდაშვილი (თბილისი) — 58,08.

# სამი დღის ნანადირევი

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე სროლა რთული ვარჯიშია — სპორტსმენმა ოთხ წამში ხუთი ტყვია უნდა გაგზავნოს მიზანში, ამასთან, გასამეორებელია 12 ამგვარი სერია. საკმარისია ოდნავ დაგვიანება და გასროლა ამაოდ ჩაივლის. რესპუბლიკის უძლიერეს სპორტსმენთა ტურნირში ამ ვარჯიშს თავი ყველაზე უკეთ ე. კარტაშიანმა გაართვა და პირველობაც მოიპოვა — 578 ქულა. ვეტერანი ა. შილოვი მას 1 ქულით ჩამორჩა.

შემდეგ კარტაშიანმა მსხვილკალიბრიანი რევოლვერით შეჯიბრებაშიც სცადა ძალა. მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე (30 + 30) სროლაში გამარჯვებისთვის იბრძოდნენ გამოცდილი სპორტსმენებიც: სსრ კავშირის რეკორდსმენი ვ. სალუქვაძე, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი ო. კვირიკაშვილი, მ. პაპავა, ახალგაზრდა ოსტატები მ. ჟამურაშვილი, კ. ფორტიევი და სხვ.

მრგვალ სამიზნეებზე სროლამ სალუქვაძე დააწინაურა. მან 300-დან 292 ქულა მოაგროვა, კარტაშიანმა — 291, ჟამურაშვილი კი ლიდერს 6 ქულით ჩამორჩა. ეს უკანასკნელი X ადგილზე დარჩა, მაგრამ იმედი როდი დაუკარგავს — წინ შეჯიბრების მეორე ნახევარი იყო და მდგომარეობის გამოსწორება კიდევ შეიძლებოდა. მართლაც, სილუეტებზე სროლაში ჟამურაშვილმა 299 ქულა მოაგროვა და სალუქვაძეს დაეწია. მათ შორის დამატებითი სროლა ჟამურაშვილმა მოიგო და II ადგილი დაისაკუთრა. პირველობა აქაც კარტაშიანს ხვდა — 588 ქულა.

მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე სროლაში ვაჟებმა მაინცდამაინც ვერ გამოიჩინეს თავი. გამარჯვებულმა ვ. სკრინიკოვმა 553 ქულა ძლივს მოაგროვა. ამ ვარჯიშში ქალები უფრო ძლიერი აღმოჩნდნენ. მაგალითად, ლ. ჟურულმა საბოლოოდ 555 ქულა მოიპოვა, II ადგილზე გასულმა ლ. ალიხანოვამ კი 550.

უძლიერესის გამოსავლენად სამ დღეს ასპარეზობდნენ „გაქცეულ ტახზე“ მონადირენი. ჯერ „ნორმალურ გარბენზე“ 40 გასროლაში მოეწყო შეჯიბრება, შემდეგ „სწრაფად მორბენალ ტახზე“ სროლაში. საუკეთესო შედეგი მოიპოვა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა გ. თავდიდიშვილმა, რომელმაც თავისივე რესპუბლიკური რეკორდი გაიმეორა — 326 ქულა. II ადგილზე გავიდა სპორტის ოსტატი ი. ქუსიკაშვილი.

საინტერესო იყო ქალთა ფინალური შეჯიბრება მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეზე სროლაში. გამარჯვებას ყველა რესპუბლიკის ჩემპიონს ტ. კობოსნიძესა და რეკორდსმენ მ. ლვინერიას უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ ორივე დაჯაბნა პირველთანრიგოსანმა ფ. წურწუმიამ — 300-დან 268 ქულა დააგროვა და 3 ქულით აჯობა ლვინერიას. III ადგილზეა კობოსნიძე — 258.

ტურნირის ოთხი დღე ისე მიიწურა, რომ არ გაუმჯობესებულა საქართველოს არც ერთი რეკორდი, არ გამოვლენილა არც ერთი ახალი ოსტატი. ფინიშზე მდგომარეობა რამდენადმე გამოსწორდა. შეჯიბრების ორმა მონაწილემ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი: არმიელმა ა. პროშკინმა „გაქცეულ ირემზე“ 50 ერთმაგი გასროლით 225 ქულა დააგროვა და 3 ქულით გაუსწრო ვეტერან გ. ბექთაშევს. ოსტატობა მოიპოვა მისმა თანაგუნდელმა ა. დიმელაშვილმაც: მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე სროლაში, მართალია, IV ადგილი დაიკავა, მაგრამ, სამაგიეროდ, 553 ქულა მოაგროვა.

ამ ვარჯიშში თავიდანვე დაწინაურდა სსრ კავშირის ექს-რეკორდსმენი, სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონი ვ. სალუქვაძე. მას კვალში მიჰყვებოდნენ სპარტაკიადის პრიზიორები მ. პაპავა და ო. კვირიკაშვილი. სალუქვაძემ ბრწყინვალედ დაიწყო: პირველი 100 შესაძლებლიდან 97 ქულა დააგროვა, მეორე სერიაში — 95. მაგრამ მესამე სერიაში მას მხოლოდ 92 ქულა ჰქონდა. მესამე-მეექვსე სერიებში მარცხის გამო სალუქვაძე 5 ქულით ვერ შეეწვდა მოსკოველი ე. რასკაზოვის საკავშირო რეკორდს — 571 ქულას. II ადგილზეა კვირიკაშვილი — 558. ასეთივე შედეგით III ადგილი დაიკავა პაპავამ.

„გაქცეულ ირემზე“ შეჯიბრების მეორე დღეს სპორტსმენები 25 ორმაგ გასროლას ასრულებდნენ. ამჯერად ყველას აჯობა ა. გაზოვმა, მაგრამ 50 ერთმაგი და 25 ორმაგი გასროლის ჯამში უძლიერესის სახელი ბექთაშევმა დაისაკუთრა — 444 ქულა.

ქალთა ასპარეზობაში საინტერესო იყო მცირეკალიბრიანი შაშხანით დგომელა 40 გასროლა. პირველი სერია მთავარმა მეტოქეებმა ასეთი შედეგებით დაამთავრეს: ს. ზასკო — 91, ლ. ჟურული — 87, ნ. ერმიშიანი — 85, ლ. ალიხანოვა — 84. მეორე სერიაში ერმიშიანმა და ალიხანოვამ 92-92 ქულა დააგროვეს, ზასკომ — 86, მაგრამ საბოლოოდ ისევ ზასკომ იმარჯვა და პირველობაც მოიპოვა — 354. ალიხანოვა მას 2 ქულით ჩამორჩა, ჟურული III ადგილზე გავიდა.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე ქალთა შეჯიბრება მაღალი შედეგით მოიგო ტ. კობოსნიძემ. მან შესაბამისად 286 და 290 ქულა დააგროვა (ჯამში — 576), რაც 7 ქულით სჯობს მეორე პრიზიორ მ. ლვინერიას მაჩვენებელს.

**ა. ოსიპოვი,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**



**სურათზე:** გ. თავდიდიშვილი.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

**სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში**

## ● სვერდლოვსკელთა ძლევენი
## ● გაიმარჯვა „ჟალგირისმა“

### მატჩები აპრილში

**1-2. „დინამო“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (ბაქო); 2-3. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი),** ვეფ (რიგა) — „სტროიტელი“ (კიევი); **4-5. „დინამო“ (თბილისი) — ასკ (რიგა);** 5-6. ასკ (კიევი) — ცსკა; 6-7. „კალევი“ (ტარტუ) — ვეფ (რიგა); 7-8. „ბურევესტნიკი“ (ბაქო) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი), „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ასკ (რიგა); 9-10. „სტროიტელი“ (კიევი) — ცსკა, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „დინამო“ (თბილისი); 11-12. ასკ (კიევი) — „კალევი“ (ტარტუ), „ბურევესტნიკი“ (ბაქო) — ასკ (რიგა); **12-13. „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი); 14-15.** ცსკა — „დინამო“ (თბილისი), „სტროიტელი“ (კიევი) — „კალევი“ (ტარტუ); 16-17. ასკ (კიევი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი); **17-18. ცსკა — „ბურევესტნიკი“ (თბილისი);** 18-19. „ბურევესტნიკი“ (ბაქო) — ვეფ (რიგა); 20-21. „სტროიტელი“ (კიევი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი), „კალევი“ (ტარტუ) — „ჟალგირისი“ (კაუნასი); **22-23. „დინამო“ (თბილისი) — ვეფ (რიგა);** 24-25. „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი), „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ბურევესტნიკი“ (ბაქო); **25-26. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ვეფ (რიგა).**

• • •

„ჟალგირისის“ საზღვარგარეთული ტურნეს გამო დაუზუსტებელია მისი მატჩების თარიღები რიგის არმიელებთან და თბილისის „დინამოსთან“. კალათბურთის საკავშირო ფედერაციამ ჯერ ვერ დაადგინა კიევის არმიელთა და თბილისის ბურევესტნიკელთა გაპროტესტებული მატჩის ჩატარების დღეც. ყველა ეს შეხვედრა უნდა გაიმართოს არაუგვიანეს 5 მაისისა.

მოსკოვი, 30 მარტი. არავინ ელოდა, რომ გუშინდელ მატჩში ცსკა-ს ასე გაუჭირდებოდა. იყო მომენტი, როცა არმიელთა გულშემატკივრებს ისლა დარჩენოდათ, რომ მოწყენილი სახეებით გამარჯვება „ურალმაშისთვის“ მიელოცათ. მაგრამ სვერდლოვსკელებს საბრძოლო სულისკვეთება ბოლომდე არ ეყოთ და როცა მოგება თითქმის განაღდებული ჰქონდათ, აშკარად დათმეს ინიციატივა. ცსკა-მ მადლობით მიიღო ძღვენი და თამაში თავის სასარგებლოდ დაამთავრა — 71:64 (35:44).

კაუნასი, 30 მარტი. გუშინ აქ ადგილობრივმა „ჟალგირისმა“ მიიღო გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი — კიევის არმიელთა გუნდი.

პირველი ტაიმი მასპინძლებმა 8 ქულით მოიგეს — 37:29. შესვენების შემდეგ სტუმრები გააქტიურდნენ და მე-40 წუთის მიწურულს ანგარიშის გათანაბრებაც კი შეძლეს — 57:57. მაგრამ აი, დამატებით დროში კვლავ „ჟალგირისმა“ იმარჯვა — 67:65.

## გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში დიდი ინტერესი გამოიწვია ჩემპიონატის ერთ-ერთმა ცენტრალურმა მატჩმა: „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი). უაღრესად მწვავე ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 77:71 (30:31).

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 35 | 23 | 12 | 2293—2162 | 23 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 33 | 23 | 10 | 2370—2277 | 23 |
| ასკ (კიევი) | 36 | 22 | 14 | 2532—2392 | 22 |
| „დინამო“ (თბილისი) | 31 | 21 | 10 | 2273—2128 | 21 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 34 | 19 | 15 | 2226—2190 | 19 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 35 | 18 | 17 | 2415—2345 | 18 |
| ვეფ (რიგა) | 34 | 18 | 16 | 2409—2385 | 18 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 35 | 18 | 17 | 2455—2419 | 18 |
| ასკ (რიგა) | 34 | 16 | 18 | 2484—2461 | 16 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 33 | 15 | 18 | 2163—2132 | 15 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 37 | 7 | 30 | 2525—2862 | 7 |
| „ბურევესტნიკი“ (ბაქო) | 34 | 6 | 28 | 2469—2887 | 6 |

*შენიშვნა: რატომ არის სატურნირო ცხრილის სათავეში ცსკა და არა ლენინგრადის „სპარტაკი“? რომელ გუნდს ეძლევა უპირატესობა თანაბარი ქულების შემთხვევაში. „ლელოს“ მკითხველები ასეთი შეკითხვებით ხშირად მოგვმართავენ, ამიტომ ჩვენ ერთხელ კიდევ ვუპასუხებთ მათ.*

*მართალია, ცსკა-ს „სპარტაკზე“ მეტი მატჩი აქვს ნათამაშევი, მაგრამ წლეულს ამას მნიშვნელობა აღარ ექცევა. ახლა მთავარია, თუ როგორ ითამაშეს გუნდებმა ერთმანეთში. I და II წრის მატჩები „სპარტაკმა“ მოიგო — 73:69 და 76:64, III და IV წრისა კი ცსკა-მ — 84:72 და 79:58. ამრიგად, ცსკა-ს აქვს +33 ქულა, „სპარტაკს“ კი +16. აი, სწორედ ამიტომ ენიჭება უპირატესობა ცსკა-ს. ეს პრინციპი, ცხადია, სხვა გუნდებზეც ვრცელდება.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ათი წელი წყალქვეშ

ახალი სპორტის სახეობა

**ახლახან** კიევში გაიმართა წყალქვეშა სპორტის განვითარების პრობლემებისადმი მიძღვნილი სსრ კავშირში პირველი სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია. იგი უკრაინაში ამ თავისებური და მომხიბლავი სპორტის არსებობის 10 წლისთავს დაუკავშირეს, მაგრამ თემატიკის მრავალფეროვნებითა და მონაწილეთა შემადგენლობით კონფერენცია დიდად გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს. არსებითად, იგი საკავშირო მნიშვნელობისა იყო.

აას-ის კორესპონდენტმა უკრაინის წყალქვეშა სპორტის ფედერაციის თავმჯდომარეს **ვ. კოზაკს** სთხოვა ეამბნა სპორტული აკვანავტიკის მიღწევებზე, პრობლემებსა და განვითარების პერსპექტივებზე.

— მახსენდება ის ხანა, — თქვა ვ. კოზაკმა, — როცა კიეველი წყალქვეშა ცურვის მოყვარულები ერთ წყვილ ფარფლთათს იშოვიდნენ და ორნი იყოფდნენ დნეპრის გადასაცურად — დოსაათის საწყლოსნო სადგური მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა. სასუნთქი მილი იმ ხანებში გაცილებით ძვირად ფასობდა, ვიდრე ხავსი წყალწაღებულისთვის. მაშინ თითქმის არაფერი არ გაგვაჩნდა. ასე იყო 1958 წლამდე არა მარტო უკრაინაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირშიც.

ათი წელი ძალიან მცირე დროა ისეთი სპეციფიკური სახეობის განვითარებისთვის, როგორიც წყალქვეშა სპორტია. მიუხედავად ამისა, სადღეისოდ ეს სახეობა ჭეშმარიტად მასობრივი გახდა. უკრაინაში ამ სახეობის ათამდე კლუბი არსებობს, ხოლო მთელ ჩვენს ქვეყანაში მათი რიცხვი ასზე მეტია.

ყოველწლიურად ტარდება საკავშირო შეჯიბრებები. შარშან წყალქვეშა სპორტი პირველად შეიტანეს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში. ეს ამბავი დაემთხვა ევროპის I ჩემპიონატს, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა შესანიშნავ წარმატებას მიაღწია: ოთხიდან ოქროს 3 მედალი საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ წილად.

● **თქვენ წყალქვეშა ცურვის სპეციფიკა ახსენეთ. რაში მდგომარეობს იგი?**

— სპორტის ბევრი სახეობის ფიზიოლოგია სადღეისოდ საკმაოდ საფუძვლიანადაა შესწავლილი. გამოკვლეულია სპორტსმენის მიერ დახარჯული ენერგიის რაოდენობა, ვარჯიშების მეთოდიკაც, მაგრამ როცა წყალქვეშა სპორტის სპეციფიკაზე ვლაპარაკობთ, ყველა ეს მეცნიერული გაანგარიშება პრაქტიკულად უმაქნისი ხდება.

წყალი თითქმის 800-ჯერ მკვრივია ჰაერზე. ამიტომ წყალქვეშა სუნთქვა ძალიან ძნელია. სპორტსმენის სხეულს აწვება წყლის სვეტი, რომლის თვითეული მეტრი 0,1 ატმოსფერულ წნევას შეესაბამება. გულმკერდი, რომლის ფართობი დაახლოებით 600 კვადრატული სანტიმეტრია, სიღრმის პირველ მეტრზე 60-კილოგრამიან დამატებით დატვირთვას იღებს. წყლის თბოგამტარობა 25-ჯერ მეტია ჰაერისაზე. ადამიანის სხეული წყალში ოთხჯერ უფრო სწრაფად გრილდება, ვიდრე ჰაერზე. ამასთან, გარემოს ტემპერატურის 1–2 გრადუსით ცვლილება უკვე არსებითად მოქმედებს ცვლის პროცესებზე.

ყოველივე ეს გამორიცხავს სპორტული ფიზიოლოგიისა და მედიცინის სხვა სფეროებიდან წყალქვეშა სპორტში მზა მონაცემების მექანიკურ გადმოტანას. საჭირო ხდება ყველაფრის თავიდან შესწავლა. საბედნიეროდ, ჩვენს სპორტსმენებს შორის მრავალი ენთუზიასტია, რომლებიც ხალისით გვეხმარებიან სხვადასხვა გამოკვლევაში.

● **რომელი სამუშაოები შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე საინტერესოდ?**

— ასეთი სამუშაო ბევრია. მაგალითისთვის მხოლოდ ერთს დავასახელებ: ექიმი ბ. ინერცისი სპორტსმენზე ფსიქო-დამაზიანებელ ზემოქმედებას და მასთან ბრძოლის მეთოდებს სწავლობს. სადღეისოდ ეს ერთ-ერთი უაღრესად აქტუალური პრობლემაა სპორტის ყველა სახეობაში. კარგი შედეგების მიღწევა მხოლოდ ფიზიკური მომზადების ხარჯზე უკვე შეუძლებელია. სულ უფრო მწვავდება სპორტული კონკურენცია, იზრდება სპორტსმენებზე მაყურებლების, საზოგადოებრიობის, პრესის ფსიქიკური გავლენა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ტაქტიკურ-ტექნიკური მომზადება, რაც სპორტსმენისგან დიდ ინტელექტუალურ და ემოციონალურ დაძაბულობას მოითხოვს. წყალქვეშა სპორტში შეჯიბრების პირობებს ართულებს რისკის ელემენტი, აპარატურის გამძლეობასთან დაკავშირებული ეჭვი.

სპორტსმენთა დიდი ნერვული დაძაბულობა ხშირად ნევროზს იწვევს, რაც ზოგჯერ ადამიანისთვის შეუმჩნევლად ვითარდება და მის ფიზიკურ შესაძლებლობებზე სერიოზულად მოქმედებს. კონფერენციაზე ინერცისმა მოიყვანა ერთ-ერთი თავისი პაციენტის მაგალითი, რომელმაც დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეძლო სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულება, თუმცა მწვრთნელს მიაჩნდა, რომ იგი მზად იყო ამისოდ. ფიქრი შესაძლო მარცხზე ჭაბუკს გულს უმძიმებდა, დაიკარგა ვარჯიშის სიყვარული, წყალი უსიამოვნო გახდა. დამამშვიდებელი აქტივიზებული ფსიქოთერაპიის კურსი ამ სპორტსმენს ფორმის აღდგენაში დაეხმარა. მალე იგი ოსტატი გახდა, ხოლო 1967 წლის მარტში სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა 1000 მეტრზე ფარფლთათებით ცურვაში.

● **გვითხარით ორიოდე სიტყვა თქვენს ექსპერიმენტებზე თხევად გარემოში სუნთქვის საკითხებზე.**

— დიდ სიღრმეზე ადამიანის ჩაშვებას ხელს უშლის ამაღლებული წნევის, გაზების ტოქსიკურობა. უკვე 40-მეტრიან სიღრმეზე ჰაერის აზოტი მომწამვლელი ხდება. ჟანგბად-ჰელიუმის ნარევებმა აკვალანგისტს საშუალება მისცა 311 მეტრ სიღრმისთვის მიეღწია, მაგრამ ამ დონეზე შესაძლებელია ჰელიუმის ინტენსიფიკაცია.

ჰოლანდიელი ფიზიოლოგი კილსტრა სულ სხვა პრობლემებზე მუშაობდა და შემთხვევით აღმოაჩინა, რომ ლაბორატორიულ ცხოველებს საკმაოდ დიდხანს შეუძლიათ სუნთქვა... წყალქვეშ, რომელიც ჟანგბადითაა გაჯერებული. ექსპერიმენტები მეც თითქმის ერთდროულად დავიწყე. 10-12 ატმოსფეროს ქვეშ ფიზიოლოგიური ხსნარი ჟანგბადით მდიდრდებოდა. შემდეგ მინის ჭურჭელში, რომელიც ამ ხსნარით იყო სავსე, თაგვებს ვსვამდით. ასეთ პირობებში ისინი ოთხ საათს ცოცხლობდნენ და შემდეგ იხოცებოდნენ, როგორც გაკვეთის შედეგებმა გვიჩვენა, არა ჟანგბადის ნაკლებობით, არამედ მკვრივ გარემოში სუნთქვის გამო ორგანიზმის ენერგეტიკული დასუსტების შედეგად. ხელოვნური სუნთქვა — სითხის დაჭირხნა და გამოშვება რომ გამოვიყენოთ, წყალქვეშ ცხოველების სიცოცხლის გახანგრძლივება შეიძლება. ამჟამად ამ მიზნებს ემსახურება სხვა სითხეები, კერძოდ, სილიკონის შენაერთები, რომელთაც შეუძლიათ ჟანგბადის დიდი რაოდენობის გახსნა ნორმალური წნევის დროსაც. უკვე წარმატებით დასრულდა ფიზიოლოგიური ექსპერიმენტი: ცხოველები პრაქტიკულად ჯანმრთელი დარჩნენ მას შემდეგაც, რაც ატმოსფერულ სუნთქვას დაუბრუნდნენ.

ადამიანის სუნთქვა სითხეში, უდავოდ, შორეული პერსპექტივის საქმეა. აქ კიდევ ბევრი სერიოზული პრობლემაა გადასაჭრელი. და მაინც, ამ მეთოდის შესწავლა ალბათ იმსახურებს შემდგომ გამოკვლევებს. „სითხისებური სუნთქვის" მეთოდმა შეიძლება მსუბუქი აკვალანგით აღჭურვილ ადამიანს მაქსიმალური საოკეანო სიღრმეების მიღწევის საშუალება მისცეს. ეს მოვლენა კი სავსებით უშეღავათოდ შეიძლება ადამიანის ღია კოსმოსში გასვლასთან გავაიგივოთ. ახლა ხომ ოკეანის ფსკერს გაცილებით ნაკლებად ვიცნობთ, ვიდრე მთვარის ზედაპირს.

● **რა როლი ენიჭებათ წყალქვეშა სპორტის წარმომადგენლებს ოკეანის სამეურნეო ათვისებაში?**

— ეს როლი გამუდმებით იზრდება. ზღვის სიღრმეები ხომ პლანეტის გეოლოგიური ისტორიის გამოცანების ბევრ პასუხს ინახავენ, მათი შესწავლა აუცილებელია სასარგებლო წიაღისეულის ძებნასთან დაკავშირებით. მთელ რიგ ქვეყნებში ამუშავებენ წყალქვეშა ქალაქების მშენებლობის, ზღვის ცხოველების ფერმების ორგანიზაციის, თევზის საძოვრების, ზღვის მცენარეთა წყალქვეშა პლანტაციების გაშენების გეგმებს. ოკეანის მომავალი ბატონ-პატრონების კადრების მომზადება სპორტული აკვანავტიკის ერთ-ერთი პერსპექტიული ამოცანაა.

ვ. შიკანი.

[illegible]

**◆ გურჯაანი**

რუსულ საშუალო სკოლაში ჩატარდა ფრენბურთელ ჭაბუკთა შიდასასკოლო შეჯიბრება. ყველას აჯობა IX კლასის გუნდმა.

ი. ოდიშელიძე.

**◆ ლენტეხი**

მოჭადრაკეთა რაიონულ პირველობაში 18 კაცი ჩაება. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა სპორტსკოლის დირექტორმა ა. ონიანმა.

ქ. მთიელი.

# ერთხელ კიდევ ოლიმპიადამდე

**როგორც** ვიუწყებოდით, თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა თეირანს გამართულ საერთაშორისო ტურნირში სამმა საბჭოთა ათლეტმა (ა. ცხოვრებოვი, ვ. გულიუტკინი, ა. მედვედი) I ადგილი დაისაკუთრა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთხელ კიდევ დავუბრუნდეთ ამ შეჯიბრებას და მკითხველებს გავაცნოთ პრიზიორთა ვინაობა, ვინაიდან თბილისის საერთაშორისო ტურნირისა და იაპონიის ღია ჩემპიონატის შემდეგ სწორედ ეს ასპარეზობა გახლდათ ყველაზე მნიშვნელოვანი წინასაოლიმპიადო შეჯიბრება. მაშ ასე, მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას ყოველ წონით კატეგორიაში.

**უმჩატესი.** მთავარ ფავორიტებად ირანელი ჰეიდარი და ბულგარელი ბაევი ითვლებოდნენ. მაგრამ მოულოდნელად დაწინაურდა მეორე ირანელი — გორბანი. ჰეიდარი კი პრიზიორთა მიღმა დარჩა. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: **1. გორბანი, 2. ბაევი, 3. მოკანი (სსრ კავშირი).**

**მჩატე.** ამ წონაშიც რამდენიმე ირანელი მოჭიდავე გამოდიოდა. ყველას აჯობა თელებიმ, რომელმაც დანარჩენ პრიზიორებთან ფრედ დაამთავრა შეხვედრები. **1. თელები, 2. პატრიკოვი (ბულგარეთი), 3. მალიანი (სსრ კავშირი).**

**ქვემსუბუქი.** პირველობის ბედი გადაწყდა სტარტზევე, როცა ერთმანეთს შეხვდნენ ირანელი სერდარი და ბულგარელი გეორგიევი. გამარჯვება წილად ხვდა ირანელს. **1. სერდარი, 2. გეორგიევი, 3. კომანი (რუმინეთი).**

**მსუბუქი.** სსრ კავშირის ნაკრების ღირსებას იცავდა სპარტაკიადის ჩემპიონი გუსოვი. მისი მთავარი მეტოქე იყო მსოფლიო ჩემპიონი მოვახედი (ირანი). ფავორიტების ორთაბრძოლა ირანელის სასარგებლოდ დამთავრდა. **1. მოვახედი, 2. გუსოვი, 3. ლუნჩი (რუმინეთი).**

**ქვესაშუალო.** კარგად ჩაატარა შეხვედრები მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა სალარაძემ. მან ყველა მეტოქე დაამარცხა, ირანელ იაკუბისთან ჭიდილი კი ფრედ დაამთავრა. და მაინც, პირველობა წილად ხვდა მასპინძელს. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი III ადგილზე დარჩა. **1. იაკუბი, 2. სალარაძე, 3. რობენი (საფრანგეთი).**

**საშუალო.** ამ წონაში ფავორიტად მიიჩნევდნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, ბულგარელ გარჯევს, მაგრამ შეხვედრები საბჭოთა ათლეტებთან ცხოვრებოვთან და სტრახოვთან მან ფრედ დაამთავრა. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: **1. ცხოვრებოვი, 2. გარჯევი, 3. სტრახოვი.**

**ქვემძიმე.** გამარჯვებულის გამოსავლენად მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა გულიუტკინ (სსრ კავშირი) — მუსტაფოვის (ბულგარეთი) ორთაბრძოლას. გაიმარჯვა საბჭოთა მოჭიდავემ. **1. გულიუტკინი, 2. ამირი (ირანი), 3. მუსტაფოვი.**

**მძიმე.** მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა, მედვედმა (სსრ კავშირი) პირველსავე წრეში დაამარცხა მთავარი მეტოქე — ბულგარელი დურალიევი და ფაქტიურად I ადგილი გაინაღდა. **1. მედვედი, 2. დურალიევი, 3. ამვარი (ირანი).**

# პიონერთა სპარტაკიადა

ქობულეთში ჩატარდა ქალაქის საშუალო და რვაწლიანი სკოლების პიონერთა სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც ხუთი სახეობა შედიოდა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 200-მდე ნორჩი ფიზკულტურელი.

ფრენბურთელ გოგონებში I ადგილზე გავიდნენ მე-2 რუსული საშუალო სკოლის მოსწავლეები, ბიჭებში კი ყველას აჯობეს მე-4 რვაწლიანი სკოლის წარმომადგენლებმა. კალათბურთში გაიმარჯვეს 1-ლი საშუალო სკოლის გოგონებისა და ბიჭების გუნდებმა. მაგიდის ჩოგბურთში პირველობა არავის დაუთმო მე-5 რვაწლიანი სკოლის ნაკრებმა. ამავე სკოლის მოსწავლეებმა გაიმარჯვეს მძლეოსნობაშიც. ჭადრაკში საუკეთესო აღმოჩნდა მე-4 სკოლის ნაკრები.

საერთო გუნდური პირველობა და სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს მე-5 რვაწლიანი სკოლის მოსწავლეებმა. II ადგილზე გავიდა 1-ლი საშუალო სკოლა, III — მე-4 რვაწლიანი სკოლა. გამარჯვებულებს გადაეცათ საპატიო სიგელები.

ლ. ტრაპაიძე.
(ჩვენი კორ.).

ქობულეთი.



რაგბი.

ფოტო ბ. ქვათაძის

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

# ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

## ინგლისი

მანჩესტერში ერთმანეთს შეხვდნენ ჩემპიონატის ლიდერები — „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „მანჩესტერ-სიტი“. პირველ წუთზე გაშვებულ ბურთს „მანჩესტერ-სიტის“ თავდამსხმელებმა 3 გოლით უპასუხეს და „მანჩესტერ იუნაიტედი“ დამარცხდა — 1:3. 33 ტურის შემდეგ ლიდერობს 3 გუნდი, რომელთაც 45-45 ქულა აქვთ. ბურთების უკეთესი შეფარდებით წინ არის „მანჩესტერ-სიტი“, მეორეა „ლიდს იუნაიტედი“, ხოლო ჩემპიონმა — „მანჩესტერ იუნაიტედმა“ III ადგილზე გადაინაცვლა.

## პოლონეთი

ჩორიგი მარცხი განიცადა ზაბჟეს „გურნიკმა“, რომელმაც გასვლითი მატჩი წააგო სოსნოვეცის „ზაგლემბესთან“ — 1:2. ვარშავის „ლეგიამ“ მოუგო ბიტომის „შომბიერკის“ — 3:0.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ლეგია“ (ვარშავა) | 16 | 24:10 | 24 |
| „რუხი“ (ხოჟუვი) | 16 | 35:19 | 23 |
| „გურნიკი“ (ზაბჟე) | 16 | 30:20 | 18 |

## ჰოლანდია

გათამაშების მორიგ ტურში ლიდერი კვლავ გამოიცვალა — როტერდამის „ფეიენოორდმა“ გასვლითი მატჩი წააგო „უტრეხტთან“ (0:2) და ლიდერობა დაუთმო ამსტერდამის „აიაქსს“, რომელმაც შინ სძლია „ეინდჰოვენს“ — 4:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „აიაქსი“ | 27 | 78:16 | 44 |
| „ფეიენოორდი“ | 27 | 64:17 | 44 |
| ადო (ჰააგა) | 27 | 44:25 | 35 |

## საფრანგეთი

XXVIII ტურში ჩემპიონმა და ლიდერმა „სენტ-ეტიენმა“ გასვლითი მატჩი ფრედ ითამაშა „აიაჩოსთან“ — 1:1. „ნანტმა“ სტუმრად დაამარცხა „ექსი“ — 6:2.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „ნიცა“ — „რედ სტარი“ 2:1, „ლილი“ — „სტრასბურგი“ 0:0, „რენი“ — „ვალანსიენი“ 1:1, „ანჟე“ — „ოლიმპიკი“ (მარსელი) 2:2, „სედანი“ — „მეცი“ 3:0, „რუანი“ — „ბორდო“ 3:0.

საუკეთესო სნაიპერია ჟოზეფი (მარსელის „ოლიმპიკი“) — 16 გოლი.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სენტ-ეტიენი“ | 28 | 53:25 | 40 |
| „მარსელი“ | 28 | 37:35 | 32 |
| „ბორდო“ | 27 | 46:32 | 31 |

## გფრ

გათამაშების ლიდერმა — „ფკ ნიურნბერგმა“ შინ ფრედ ითამაშა ბრემენის „ვერდერთან“ — 0:0. „ჰამბურგერ შპორტფერაინმა“ ნოიენკირხენში მოუგო ადგილობრივ „ბორუსიას“ — 3:0 (2 გოლის ავტორია ზეელერი).

დანარჩენი შედეგები ასეთია: „ბაიერნი“ — „აინტრახტი“ (ბრაუნშვაიგი) 3:0, „ჰანოვერ 96“ — „მიუნჰენ 1860“ 1:2, „ბორუსია“ (დორტმუნდი) — „ბორუსია“ (მენჰენგლადბახი) 3:1, „დუისბურგი“ — „შტუტგარტი“ 3:3, „კარლსრუე“ — „აინტრახტი“ (ფრანკფურტი) 0:1, „კაიზერსლაუტერნი“ — „ფკ კიოლნი“ 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფკ ნიურნბერგი“ | 27 | 59:30 | 37 |
| „ბაიერნი“ (მიუნჰენი) | 26 | 55:42 | 32 |
| „ბორუსია“ (მენჰენ.) | 27 | 66:41 | 32 |

## გდრ

ჩემპიონატის ლიდერმა — იენას „კარლ ცაისმა“ შინ მოუგო ლაიპციგის „ჰემის“ — 2:0.

დანარჩენი შედეგებია: „ლოკომოტივი“ (ლაიპციგი) — „ვისმუტი“ (აუე) 0:2, „კარლ-მარქს-შტადტი“ — „ერფურტი“ 2:2, „ზაქსენრინგი“ — დრეზდენის „დინამო“ 2:1, „ჰანზა“ — „უნიონი“ 1:0.

საუკეთესო სნაიპერია კოსტმანი („ჰანზა“) — 13 გოლი.

| | | | |
|---|---|---|---|
| „კარლ ცაისი“ (იენა) | 18 | 35:13 | 28 |
| „ფკ მაგდებურგი“ | 18 | 30:22 | 26 |
| „ჰანზა“ (როსტოკი) | 18 | 27:18 | 25 |

## ბელგია

XXIV ტურის ცენტრალური მატჩი მოეწყო ბრიუგეში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — „ფკ ბრიუგე“ და ბრიუსელის „ანდერლეხტი“. შეუპოვარი ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 2:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ანდერლეჰ.“ (ბრიუს.) | 24 | 58:20 | 38 |
| „ფკ ბრიუგე“ | 24 | 44:18 | 35 |
| „სტანდარდი“ (ლიეჟი) | 24 | 41:28 | 31 |

## შოტლანდია

ქვეყნის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — გლაზგოს „სელტიკმა“ XXVII ტურში შინ მოუგო „რეით როვერზს“ — 5:0, ხოლო გათამაშების ლიდერმა „გლაზგო რეინჯერსმა“ ედინბურგში დაამარცხა „ჰიბერნიენი“ — 3:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „გლაზგო რეინჯერსი“ | 26 | 75:22 | 49 |
| „სელტიკი“ | 26 | 79:18 | 47 |
| „ჰიბერნიენი“ | 27 | 53:37 | 35 |

## „რივა — ნაკრების მეფე“

„უიმისოდ იტალიის ნაკრები ისევე უკბილოდ ითამაშებს, როგორც იმ საშინელ დღეს, როცა მსოფლიოს ჩემპიონატში კორეელებთან დავმარცხდით“, — წერენ მიმომხილველები „სკუადრა აძურას“ მარცხენა გარემარბ რივაზე. „რივა ნაკრების ნამდვილი მეფეა“, — ამბობს ცნობილი ჟურნალისტი ს. მაცონი.

წლევანდელ სეზონში რივა საუცხოოდ თამაშობს „კალიარის“ შემადგენლობაში. მას მდიდარი ტექნიკა, სისწრაფე და გაბედულება აქვს. რივა უდავოდ ყველაზე სახიფათო თავდამსხმელია ნაკრებში, მით უმეტეს, რომ მაცოლა შორსაა შარშანდელი ფორმისგან.

„ინტერის“ მწვრთნელი ე. ერერა ბევრს ეცადა გადაებირებინა რივა, მაგრამ ამაოდ. ზაფხულში, მიმომხილველთა აზრით, რივას დასაუფლებლად იტალიის მოწინავე კლუბებს შორის დიდი დავა ატყდება.

## იცით თუ არა, რომ...

... მსოფლიოში უძველესი თხილამურები შემონახულია შვეციის სათხილამურო მუზეუმში. ძვირფასი ექსპონატის ასაკი 4 ათასი წელი.

... ეგეოსის ზღვაში ერთ-ერთ კუნძულზე ამერიკულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა თიხის ბურთი, რომელიც ტყავის გასაბერი ბურთის მოდელი აღმოჩნდა. აღმოჩენა მიეკუთვნება III საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

... სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება ჩვენს ქვეყანაში პირველად მიეკუთვნა ი. მელნიკოვს. იგი იყო თავისი დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოციგურავე, რომელმაც 400 სხვადასხვა ჯილდო და თასი მოიპოვა.

... რუსეთში თხილამურები სპორტული მიზნით პირველად 1895 წელს გამოიყენეს, როცა შეიქმნა მოსკოვის მოთხილამურეთა კლუბი. თხილამურის სიგრძე მაშინ 3 მეტრს აღემატებოდა.



## ჭიდაობის ორ სახეობაში

ამას წინათ „განთიადის“ დარბაზში დამთავრდა თბილისის მოსწავლეთა პირველობა კლასიკურსა და თავისუფალ ჭიდაობაში. თავი გამოიჩინა მე-6 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ პეტრე გოგლიძემ (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ნ. მუზაშვილი). იგი ქვემძიმე წონის წარმომადგენელთა შორის პირველი იყო როგორც თავისუფალ, ისე კლასიკურ ჭიდაობაში.

• • •

სურათზე: პ. გოგლიძე.
ფოტო ე. ნადარეიშვილისა.

## „ბენფიკა“ უჩივის

ლისაბონის „ბენფიკას“ ხელმძღვანელობამ უჩივლა გუნდის ყოფილ მწვრთნელს ფ. რიერას, რომელმაც ხელშეკრულება დაარღვია და ჩილეში დაბრუნდა. „ბენფიკას“ საჩივარში ნათქვამია, რომ მწვრთნელმა არ შეასრულა დაპირებული სამუშაო, რისთვისაც უნდა გადაიხადოს 800 ათასი ესკუდო.

ამასობაში „ბენფიკა“ ახალ მწვრთნელს ეძებს. მან ემისრები აფრინა დი სტეფანოსთან, რომელიც „ელჩედან“ განთავისუფლების შემდეგ ჯერ არ მუშაობს. როგორც უკვე ვიუწყებოდით, დი სტეფანოს გადაბირება იტალიის „ფიორენტინასაც“ სურს. დი სტეფანო ჯერჯერობით თავს იკავებს და ზოგიერთი მიმომხილველი ფიქრობს, რომ პუშკაშისა და კუბალას მსგავსად ისიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრება.



ამ სათხილამურო დაქანებაზე თოვლი არ არის... ეს სპეციალურად გაკეთდა ლონდონში. ვატერლოოს რკინიგზის სადგურზე 45 ფუტი სიგრძის მშრალი სათხილამურო „ფერდობი“ აიგო, რათა დააინტერესონ მგზავრები ზამთრის არდადეგების დროს. იგი სწორედ არდადეგების დაწყების დღეს გაიხსნა. სპეციალისტები აქ ყოველდღე მართავენ საჩვენებელ გამოსვლებს.

## ფეხბურთელი და მევიოლინე

ერთ დროს, 20-ან და 30-ან წლებში, საერთაშორისო ფეხბურთის ცაზე ბრწყინავდა არგენტინული ვარსკვლავი, მარცხენა გარემარბი რაიმონდო ორსი. მას თავდავიწყებით უყვარდა ფეხბურთი, ვიოლინოზე დაკვრა და... ხეტიალი. ეს არგენტინელი ფორვარდი ვერსად იკიდებდა ფეხს და უამრავი გუნდი გამოიცვალა. მას სხვადასხვა დროს უთამაშია არგენტინის, ბრაზილიისა და ურუგვაის ყველა მნიშვნელოვან გუნდში, 16-ჯერ გამოსულა არგენტინის ეროვნულ ნაკრებში, 1928 წელს კი იტალიაში გადავიდა.

იტალიაში მან 5 წელი დაჰყო. ორსი იყო ტურინის „იუვენტუსის“ მარცხენა გარემარბი. მან 35-ჯერ ითამაშა იტალიის ეროვნულ ნაკრებში და 13 გოლი გაიტანა. ორსიმ ბრწყინვალედ ითამაშა 1934 წელს რომში მსოფლიო პირველობის ფინალში ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ და შესანიშნავი გოლიც გაიტანა (იტალიამ მოიგო — 2:1). მატჩის მეორე დღეს ჟურნალისტებისა და ფოტორეპორტიორების დაჟინებული თხოვნით ორსის უნდა გაემეორებინა თავისი ფენომენალური დარტყმა, მაგრამ მისი ყოველი ცდა მარცხით მთავრდებოდა. რაიმონდომ გაჰყარა ფოტოგრაფები და დარდის გაქარვება ვიოლინოს დაკვრით სცადა (ორსი მუდამ თან ატარებდა ვიოლინოს).

შემდეგ ორსი კვლავ არგენტინას დაუბრუნდა და ბოლო ხანებში მის თაყვანისმცემლებს უფრო მეტი ესმოდათ ორსი მევიოლინესა და დირიჟორის, ვიდრე ფეხბურთელის შესახებ. თეატრებსა და რადიოში ისმოდა მისი სახელი. მაგრამ ორსიმ მთლიანად ვერ ამოიგდო გულიდან ფეხბურთი, მწვრთნელობა დაიწყო და აქაც დაუდეგარი ხასიათი გამოიჩინა: წარამარა იცვლიდა გუნდებს. ახლა 67 წლის ორსი უკვე დაძაბუნდა, მაგრამ ხეტიალს მაინც არ იშლის.

## ნარკოტიზირებული მეკარე

ეს მოხდა კანადის ერთ-ერთ პატარა ქალაქში, პაჩანგში. სტუმართა მეკარე (ერთმანეთს ხვდებოდნენ ჰოკეისტები) უცნაურად იქცეოდა: 160 წამში მან 3 შაიბა გაუშვა და რაღაც საეჭვოდ ბარბაცებდა. მწვრთნელმა სასწრაფოდ შეცვალა იგი და მასთან ერთად გასახდელს მიაშურა. მეკარეს სახის ნიღაბი ჩამოხსნა და ყნოსვა გაამახვილა. გამოირკვა: ნიღაბს შიგნიდან წასმული ჰქონდა რომელიღაც ქიმიური პრეპარატი, რომელსაც მეკარე გაებრუებინა. მაშინვე პოლიცია ჩაერია საქმეში. სტუმრები პროტესტს გამოთქვამდნენ აშკარა საბოტაჟის გამო. ფედერაციამ მატჩის შედეგი გააუქმა და ხელახალი შეხვედრის ვადა დანიშნა.

## უბერებლები

სპორტი ადამიანს ახალგაზრდობას უნარჩუნებს! — ამ დასკვნამდე მივიდნენ არა მხოლოდ ექიმები, არამედ თვით სახელოვანი და უსახელო სპორტსმენებიც. ფინეთის პრეზიდენტი ურჰო კეკონენი, თავისი 66 წლის მიუხედავად, თავს არ ანებებს სპორტს. სიმაღლეზე ხტომის ექს-ჩემპიონი (1924 წ.) ყოველწლიურად მონაწილეობს თხილამურებით 70-კილომეტრიან პოპულარულ გადარბენებში.

ცნობილმა შვედმა მხედარმა ჰენრი სენ-სირმა 50 წლის ასაკში ოქროს 2 მედალი მოიპოვა ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში. ეს წარმატება მან შემდეგ ოლიმპიადაშიც გაიმეორა.

საფრანგეთის ჩოგბურთის მუშკეტერები ბოროტრა, ლაკოსტი, კოშე და ბრუნიონი ახლაც საუცხოოდ თამაშობენ. ერთად აღებული, ისინი 254 წლისა არიან.

## ხარები სტადიონზე

ფეხბურთის გულშემატკივართა კუთხური პატრიოტიზმი ზოგჯერ დაუჯერებელ ექსცესებს იწვევს. ესპანეთის პატარა ქალაქ ფუენტეში ფეხბურთის მატჩი მიმდინარეობდა. უცებ სტადიონზე რამდენიმე გაშმაგებული ხარი შემოვარდა და ფეხბურთელები მსაჯიანად იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ. ადგილობრივი გუნდი აგებდა შეხვედრას ანგარიშით 0:2. ეჭვი არ იყო, რომ ფუენტეს ფეხბურთელები დამარცხებას ვერ გადაურჩებოდნენ და მაშინ ერთმა სასოწარკვეთილმა გულშემატკივარმა ხარები შერეკა მინდორზე, რათა ჩაეშალა თამაში.

დიდხანს დათარეშობდნენ დაფეთებული ხარები სტადიონზე. მატჩი, რასაკვირველია, ჩაიშალა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ბაზაზე

**კალათბურთი.** სპორტის სასახლე. ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობა. **დღეს:** „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი). დასაწყისი 20 ს.

**ფეხბურთი.** საქართველოს პირველობა. **დღეს:** ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „იბანი“ (თბილისი). დასაწყისი 12 ს. „დინამოს“ საწვრთნელი ბაზა (დიღმის დასახლება). „სინათლე“ (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი). დასაწყისი 17 ს.

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). 31 მარტი-8 აპრილი. თბილისის ვაჟთა პირველობა. დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 8 უე 04013